ცნობის ფურცელი

VI წ. ყოველ-დღიური გამოცემა 1901 ხუთშაბათი, 21 ივნისი № 1501

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27, და წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

რედაქციის კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моамбе“. **ტელეფონი № 372.**

ყოველ დღიური გაზეთი

„ცნობის ფურცელი“

პირველ ივლისიდან წლის დამლევამდის ღირს **3** მან. და **50** კაპ.

ცალკე ნომერი ღირს 3 კაპეიკად.

ტფილისის კერძო

სამკურნალო

მიხეილ ბედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა,

დილით:

გ. ი. ჯიჯიხაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მიხეილ ა. ბედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრობით—9—10 ს.

ნ. ა. მუდიბი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათამდე.

ი. ზ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი—10—12 საათამდე.

ა. ნ. მატინოვი—თვალისა 11—12 ს.

ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე-ბავშვებისა 11—12 ს.

დ. ა. ბედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი—12—1 საათამდე.

მ. გ. ფეოდოროვი შინაგანი და საბავშვო—1 საათ. 2-მდე.

გ. დ. მარკევიჩი—სადოსტაქრო—12½ 1½ საათამდე, სამშაბათობით 3—4 საათამდე.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათამდე.

ა. ა. ბელიკოლოვი.—შინაგანი (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი.—5—6 საათზე.

გ. მაღალაშვილი—კვირაობით—10—12 ს. სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კ.; ოპერაციები — მორიგებით. კრაოტი 4 მან. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ). ტელეფონი № 274. (წდ).

სკოლა და პანსიონი

ა. მამულაიშვილისა

ამზადებს ყმაწვილებს სხვა-და-სხვა სასწავლებლებისათვის.

ოლგას ქუჩა (Ольгинская) № 13. (10—9)

მთავრობის განკარგულებანი

სამხედრო უწყებას:

ლეიბ-ბოროდინსკის მე-68 ქვეითა პოლკის პორუჩიკი თავ. ლორთქიფანიძე გადაყვანილ იქმნა მე-79 კურინის პოლკში.

სამოქალაქო უწყებას:

ხერსონის ქალაქის პოლიციის ბოქაულს გუბერნსკი სეკრეტარს თავ. გურამიშვილს ებოძა კოლეჟსკი სეკრეტრობა.

დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

19 ივნისა.

პეტერბურგი. გამოცხადდა შემდეგი უმაღლესი ბრძანება იმ გაფრთხილებათა ვადის განსაზღვრის შესახებ, რომელიც ეძლევა ცენზურისაგან თავისუფალ პერიოდულ გამოცემათ: 1) დასამატებლად საცენზურო წესდების მე-144° მუხლისა დაწესდეს: პირველ გაფრთხილებას ძალა აქვს ერთის წლის განმავლობაში, თუ ამ დროს განმავლობაში პერიოდულმა გამოცემამ მეორე გაფრთხილება არ მიიღო. თუ გამოცემას ერთ წელიწადში მოუვიდა ორი გაფრთხილება, უკანასკნელს ძალა აქვს ორი წლის განმავლობაში. თუ ორი წლის განმავლობაში გამოცემას მესამე გაფრთხილება არ მოუვიდა, მაშინ აღნიშნულ ვადის გასვლის შემდეგ გამოცემა თავისუფალია გამოცხადებულ გაფრთხილებათაგან; 2) ამ კანონს ძალა აქვს იმ გამოცემათა შესახებაც, რომელთაც დღემდის მიუღიათ გაფრთხილება.

გამოცხადებულია შინაგან საქმეთა მინისტრის შემდეგი განკარგულება: ვინაიდგან გამოცხადდა უმაღლესად დამტკიცებული სახელმწიფო საბჭოს აზრი იმ გაფრთხილებათა ვადის განსაზღვრის შესახებ, რომელიც ეძლევა ცენზურისაგან თავისუფალ პერიოდულ გამოცემათ საცენზურო წესდების 144 მ. ძალით, და რადგან ეს ახალი კანონი შეეხება აგრეთვე იმ გამოცემათ, რომელთაც მიიღეს გაფრთხილება ამ კანონის გამოცემამდე, შინაგან საქმეთა მინისტრმა დაადგინა: გაზეთები: «ბირჟევ. ვედ.“ „ვოსხოდ“, „რუსკ. ვედ.“ და ჟურნალი „ხოზიაინ“, რომელთაც სამჯერ მიიღეს გაფრთხილება, განთავისუფლებულ იქმნან ხსენებულ 144 მ. შენიშვნის ზე გავლენისაგან.

პროფესსორი ცვეტაევი უმაღლესის ბრძანებით დაინიშნა მოსკოვის საჯარო რუმიანცევის მუზეუმის დირექტორად.

პარიჟი. პალატა. საღამოს სხდომა. ალლემანს წინადადება შემოაქვს, რომ ყველა კონგრეგაციები დაუყოვნებლივ დახურულ იქმნან და მათ ქონება ჩამოერთვას. ორატორი თხოულობს, რომ მისი წინადადება არ გადაიდოს და ეხლავ განხილულიყოს, პალატამ უარყო ეს თხოვნა. ლაფერიერი თხოულობს გაუქმებას 1810 წლის კანონისა, რომელიც მასწავლებლობის ნებას აძლევს ქრისტიან ბერებს. პალატამ ამ კითხვის გარჩევაც გადადვა.

პარიჟი. პალატა იხილავს ჩინეთის ექსპედიციისათვის საჭირო დამატებით კრედიტს. სამბა პროტესტს აცხადებს იმის შესახებ, რომ ომი პარლამენტის ნებადაურთველად იყო დაწყებული და უსაყვედურებს მისსიონერებს, რომ მათმა მოქმედებამ გამოიწვია უწესოება ჩინეთში და აგრეთვე ევროპიელ ჯარებს—სამარცხვინო ქცევას. დელკასე ხელ ახლავ უცხადებს ჯარებს მადლობას „ჩინეთმა,—სთქვა მან,—პირველმა თითონ დაიწყო ომი, ვინაიდან ხელი არ შეუშალა ქრისტიანთა ამოჟლეტას“. თუმცა მას, მინისტრს არ შეუძლიან სთქვას, რომ მშვიდობიანობა უზრუნველ ყოფილია, მიუხედავად ამისა დარწმუნებით შეუძლიან სთქვას, რომ სახელმწიფოებმა ყოველი ღონე იღონეს ამისათვის. შემდეგ ლანესანი სცდილობს ახადოს ჯარებს მძვინვარების ბრალი; გამოძიებამ დაამტკიცაო, ამბობს ლანესანი, რომ მთელს ექსპედიციაში მხოლოდ ოცი შემთხვევა იყო ამგვარ მოქმედებისა, რისთვისაც დამნაშავენი სასტიკად დაისაჯნენ. კოშონი ეკითხება მთავრობას; როგორ მოქმედებას აპირებს საფრანგეთი ჩინეთში? დელკასე უპასუხებს, საფრანგეთს, როგორც სხვა სახელმწიფოებს; გადაწყვეტილი აქვს დასტოვოს ჩინეთში ჯარები მხოლოდ პეკინისაკენ მიმავალ გზაზედ. სამბა თხოულობს, რომ დაინიშნოს გამოძიება ჯარების უწესო მოქმედების შესახებ ჩინეთში. მილვუა და დელკასე ამის წინააღმდეგობას აცხადებენ. ვივიანი წინადადებას იძლევა, კრედიტს მოაკლდეს ათასი ფრანკიო, რათა საფრანგეთი ამიერიდან აღარ იყოს მფარველი მისიონერებისა. მინისტრი დელკასე წინააღმდეგობას აცხადებს და ამბობს, რომ მთავრობა წინააღმდეგი იქნება, საფრანგეთის უპირატესს მდგომარეობას ჩინეთში რამე დააკლდესო. სამბას წინადადება უარყოფილი იყო.

ფელეტონი

სამეცნიერო შენიშვნები

I

ახალი ელემენტი რადი

მეცხრამეტე საუკუნის დასასრულში მეცნიერებამ ერთი ნაბიჯი კიდევ წარსდგა წინ ბუნების საიდუმლო მოვლენათა აღმოჩენა-შესწავლაში და მით ერთხელ კიდევ გაამხნევა, გააძლიერა დღევანდელი წუთისოფლის შვილი ჯერ კიდევ მრავალ ბურუსით მოცულ კითხვების ასახსნელად. გასულ საუკუნის უკანასკნელ წლებს წილად ჰხვდა დიადი კითხვების წამოყენება საბუნების-მეტყველო მეცნიერებათა სფერაში, ხოლო მათი ყოველ მხრივი შესწავლა და გამოყენება მომავალის საქმეა. დღეს ასეთ დიად კითხვებად უნდა ჩაითვალოს რენტგენის მიერ სხივების აღმოჩენა და განსაკუთრებით კი ამ სხივების შესწავლის ნიადაგზე აღმოცენებული ბ. და ქ. კიურის აღმოჩენა „ახალი ქიმიური ელემენტი რადი“.

რენტგენის სხივების თვისებათა და სარგებლობის შესახებ ბევრი რამ დაწერილა ჩვენს ლიტერატურაში და ძვირათაც თუ მოიპოვება ისეთი ქართველი მკითხველი, რომელსაც ამ საკვირველ სხივებზე წარმოდგენა მაინც არა ჰქონდეს; ხოლო რაც შეეხება ბ. და ქ. კიურის აღმოჩენას, ეს მართლაც სულ ახალი ამბავია, და ჯერ-ჯერობით, თუ არ ვსცდებით, ჩვენი ლიტერატურა არც-კი შეჰხებია მას.

ახლად აღმოჩენილი ელემენტი „რადი“ გასაკვირველია როგორც ფიზიკურის, აგრეთვე ქიმიურის მხრითაც; მის განსაკუთრებულ, ჯერ-ჯერობით სრულებით გამოურკვეველ თვისებას შეადგენს თავისებური მძლავრ და დაუშრეტელ ფოსფორესცენციის წარმომშობი ძალა და ამიტომაც, სანამ ახალ ელემენტის გაცნობას შევუდგებოდეთ, საჭიროა მოკლედ გავითვალისწინოთ ეს დიდად საყურადღებო ფიზიკური მოვლენა „ფოსფორესცენცია“. მოვიგონოთ, თუ რა მოვლენას უწოდებენ ამ სახელს და რაში მდგომარეობენ მისი წარმომშობი მიზეზები. ყველასათვის, ვინც კი ცოტათი მაინ იცნობს ფიზიკას, ცხადი უნდა იყოს, რომ დედა-მიწა და მასზე ნივთიერებანი ითვისებენ, უკეთ რომ ვსთქვათ, შთანთქავენ მზის სითბო-სინათლეს და შემდეგ კი უკუ აქცევენ ანუ უშვებენ მიღებულ მზის ძალას. მაგრამ აქვე ისიც უნდა დავსძინოთ, რომ სინათლის უკუქცევა ორგვარია: მიღებისთანავე და მიღების შემდეგ. მაგალითად, მიწა და უმეტესი ნაწილი მასზე მყოფ საგნებათაგან უკუ აქცევენ მზის სინათლეს მიღებისთანავე, შემდეგ კი, როდესაც მზე ჩავა, აღარ ანათებენ; ამავე დროსვე არის ისეთი ნივთიერებანიც, რომლებიც შთანთქულ სინათლეს უკუ აქცევენ მიღების შემდეგაც. აი ამ უკანასკნელ ზოგიერთ ნივთიერებათა თვისებას, სახელდობრ—სხივების უკუქცევას სინათლის მიღების შემდეგ უწოდებენ „ფოსფორესცენციას“.

ფოსფორესცენციული ნივთიერება ანათებს სიბნელეში განსაზღვრულ დროს, იმისდა მიხედვით, თუ რამდენხანს მოქმედებდა მასზე მზისა ანუ სხვა რომელიმე მნათობ საგანის სხივები. ფოსფორესცენციის მიზეზები დღემდე სრულებით გამოურკვეველი იყო და ფიზიკოსები აწერდნენ მას მხოლოდ ნივთიერების ფიზიკურ თვისებას. ბოლოს დროს კი ამ საიდუმლო მოვლენას დიდი შუქი მოჰფინეს ქიმიკოსთა დაკვირვებამ და გამოკვლევამ; ასე, რომ აქამდე გაუგებარი ბუნების საიდუმლოება დღეს ქიმიის შემწეობით თითქმის ძალიან ადვილად ასახსნელი შეიქმნა. ქიმიკოსები, რასაკვირველია, სცდილობენ ახსნან ფოსფორესცენცია, როგორც შედეგი ქიმიურ რეაქციისა, ესე იგი ნივთიერების დარღვევით, მის შემადგენელ ნაწილთა დაცალკევებით და შეერთებით, მით უმეტეს, რომ სინათლის ამ მხრით ზედგავლენა ზოგიერთ ნივთიერებაზე კარგა ხანია ცნობილია მეცნიერებაში. ვინ არ იცის, მაგალითად, სხივების მოქმედება სინათლის მგრძნობ ჭიქის ფოტოგრაფიულ ფირფიტაზე, რომლის ერთ მხარეზე თხლად წაცხებულია ქლორიანი ვერცხლი. სინათლის ზედგავლენით ეს უკანასკნელი იყოფა თავის შემადგენელ ნაწილებად ქლორად და წმინდა ლითონ ვერცხლად; ქლორი, როგორც გაზიური ნივთიერება, ჰაერში მიდის, ხოლო ვერცხლის შავი მტვერი-კი ჭიქაზე რჩება. მეორე უფრო საყურადღებო მაგალითიც: ქლორიანი ბისმუტი სინათლის ზედგავლენით ნაწილდება ქლორად და ბისმუტად, რომლებიც სიბნელეში ისევ ერთდებიან და შეადგენენ წინანდელსავე ქლორიან ბისმუტს.

ამ გვარივე ფაქტები ცნობილია აგრეთვე ცხოველ არსებათა გამოკვლევაშიაც: არის სხვა-და-სხვა გვარი წვრილი სოკოები, ყველასაგან ცნობილი ჭიანყელა და ბოლოსაც ზღვაში მცხოვრები პაწაწა ჭიები და მედუზები, რომლებიც ანათებენ სიბნელეში და განსაკუთრებით კი ზაფხულობით. როგორც აქ ჩამოთვლილ ცხოველ არსებათა და აგრეთვე მრავალ სხვა ორგანიულ ნივთიერებათა მნათობლობის შესწავლამ დაახლოვებით გამოარკვია, ამ პროცესის დროს ჩნდება სხვა-და-სხვა ქიმიური ნივთიერება, რასაკვირველია, მნათობ საგნიდან წარმოშობილი; მნათობი ცხოველი არსებანი, როგორც ყოველივე მცხოვრები არსება, თავის ტანიდან მუდამ უშვებენ გაზიურ ნივთიერებას, ესრედ წოდებულს

შემდეგ პალატამ დაამტკიცა დამატებითის კრედიტის თითეული მუხლი.

პეკინი. დღეს ჩინელებმა ჩაიბარეს ინგლისელთა უბნის ერთის ნაწილის მართვა-გამგეობა.

მადრიდი. ოფიციალურის დეპეშების სიტყვით, ტყუილი ყოფილა ოპორტოში შავის ჭირის გაჩენის ამბავი.

ბელგრადი. უცხოელ გაზეთების ცნობა, ვითომც ფინანსთა მინისტრი სამსახურს თავს ანებებდეს, მოკლებულია ყოველ გვარ საფუძველს.

პეკინი. ელჩების გუშინდელმა კრებამ შეიმუშავა იმ პროკლამაციის პროექტი, რომლითაც ჩინეთის მთავრობამ უნდა დააშვიდოს ხალხი.

ლონდონი. ლორდთა პალატა. ზღვათა მინისტრმა გამოაცხადა, რომ ამერიკის გემი „მაინი», რომელიც სამხრეთ აფრიკაში მმოძრავ საავადმყოფოდ იყო, პატრონებმა აჩუქეს ინგლისის ფლოტს. სპენსერი სიხარულს გამოსთქვამს ამ საჩუქრის გამო, რადგანაც ხედავს მასში ნიშანს ინგლისის და ამერიკის მეგობრობისას.

პრაგა. დილას ქალაქის გამგეობის დიდს დარბაზში გადაცემულ იყო პარიზის საჩუქარი—სერვის საუცხოვო ვაზა. ქალაქის საბჭოს პრეზიდენტმა წარმოსთქვა გრძნობით სავსე სიტყვა. პარიზის ქალაქის დელეგატებმა საღამოს ნადიმი გამართეს. საღამოს ბევრი „შავარდენი“ (გიმნასტიურ საზოგადოების წევრები) წავიდა პრაგიდან.

კაპშტადტი. იტყობინებიან, რომ ფუშე შევიდა მაკლირისა და ელლიოტის ოლქების ისეთ ადგილებში, რომელიც მკვიდრ მცხოვრებლებს აქვთ მინიჭებული და საცა მრავალი ცხენია. ვინაიდგან იქ სამხედრო სამართალი არ სწარმოებს, ევროპიელი ფერმერები იარაღს ჰკიდებენ ხელს ამ ადგილების დასაცველად, რომელსაც აქამდის, როგორც მკვიდრების ტერრიტორიას, მეგობარი მხარეები არ ეხებოდნენ.

ლონდონი. კიტჩენერი იტყობინება, რომ ბრიტანელ რაზმების ცნობით, 11 ივნისიდან მოკლულ იქმნა 74 ბური, დაჭრილ იქმნა 60, 160 დატყვევებულ იქმნა, 136 თავის ნებით დამორჩილდა ინგლისელთ. ინგლისელთ ხელში ჩაუვარდა 131 თოფი, 15800 პატრონა და 304 ურემი.

პრაგა. გუშინ საღამოზე, რომელიც გამართა პრაგის სლავიანთა კლუბმა „შევარდენების“ შეკრების გამო, რუს სტუმრების სახელით ილაპარაკა გენერალ რიხტერმა. მან უსურვა ჩეხებს დამოუკიდებლობის გზაზე წინსვლა და დიდის რუსეთის სიყვარული, განსაკუთრებით რუსეთთან სავაჭრო მისვლა-მოსვლის განვითარება: მათთვის იქ ადგილი ბევრია. პეტერბურგელი პროფესორი სკადკოვსკი აქებდა «შევარდენთა» დისციპლინას, რომელიც ასე საჭიროა ყველა სლავებისათვის. შემდეგ მან დალია სადღეგრძელო ფრანგებისა და ფრანგ სლავიანთა კავშირისა.

კაპშტადტი. პოლკოვნიკი დალჯელი გადვიდა მკვიდრთა ტერიტორიაზე-მაკლირზე, ფრანკეის ოლქში. ბურებმა ოლქს თავი დაანებეს და ახლო-მახლო დადიან. კომანდირმა ფუშემ, რომელიც იძულებულია უკან დაიხიოს, უნდა აირჩიოს ერთი სამ გზათაგანი, რომელიც ეხლა ინგლისელების ხელშია.

კონსტანტინეპოლი. ბაკტერიოლოგიურის გამოკვლევით, ბერმენს, რომლის ავადმყოფობა საეჭვოთ იყო ცნობილი, შავი ჭირი სჭირს.

ბუქარესტი. „რუმინიის სააგენტო“ უარ ჰყოფს ვენელ გაზეთების მიერ გავრცელებულ ხმას, ვითომც მეფე კარლოსი მიწვეული იყოს წელს ავსტრო-უნგრეთის ჯარის აღლუმზე. სამმა გაზეთმა გამოაცხადა, რომ უცხოელ გაზეთების ლაპარაკი რუმინიის მეფე-დედოფლის მოგზაურობის პლანებზე და სინაიაში უავგუსტოესს პირების მოსვლაზე მოკლებულია ყოველს საფუძველს.

ბელგრადი. სენიციდან (ნოვო ბაზრის სანჯაკში) კიდევ იტყობინებიან ალბანელებისა და ოსმალეთის ჯარის კაცების მტრულ მოქმედებაზე სერბიელების წინააღმდეგ; ოსმალეთის ჯარისკაცებმა დაიკავეს სერბიელების რამდენიმე სოფელი და ავიწროებენ მცხოვრებთ ვითომდა იმიტომ, რომ ისინი იარაღს მალავენ.

პარიზი. როგორც ტანჟერიდან იტყობინებიან, ფლოტის აღლუმის გამო იქ მისულა საფრანგეთის ესკადრა, რომელიც შესდგება 12 ხომალდისაგან.

ხარკოვი. დიდის ხნის ლოდინის შემდეგ მოვიდა გაბმული წვიმა, რომელიც უჭექა-ქუხილოდ გაგრძელდა 10 საათი. გაზაფხულის ნათესობისათვის ეს წვიმა სასარგებლოა. ბოსტნები და ბაღები უნდა გამოკეთდნენ. გაკოტრებულ სავაჭრო ბანკის მართვა-გამგეობა ჩაბარდა ნაფიც მზრუნველებს.

ვარშავა. ფელიქს კრზინსკის, კასების გამტეხ ბრბოს ბელადს, რომელმაც მოჰკლა დევნის დროს ორი პოლიციელი და საშიშრად დასჭრა ერთი, გაასამართლებს ოლქის სასამართლო 27 ივლისს.

პეტერბურგი. პოსტანი, რომელმაც მიისაკუთრა ვაჭარ ლურიეს 62.000 მან. რუსეთის გარეშე ვაჭრობის ბანკიდან, დაიჭირეს ბენდერში. მას უნახეს 42,000 მ.

(საღამოს დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე.)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ინგლისი. მთავრობამ არ იცის, როგორ მოექცეს საშუალო სკოლის რეფორმის კანონპროექტს, ამ საგნის თაობაზე ჯერ გადაწყვეტილი არა აქვს-რა. ერთის მხრივ თავის პარტიას დაჰპირდა, რომ ამ კანონს უსათუოდ დავამტკიცებინებ პარლამენტსაო და ამიტომ თავის დაპირება რომ არ შეასრულოს, მეტად შერცხვება. მეორეს მხრით, ცოტა დრო-ღა დარჩა და ამ კანონის დასამტკიცებლად ან ეხლანდელი სესსია უნდა გააგრძელოს, ან შემოდგომაზე საგანგებო სესსია მოიწვიოს, მაგრამ უნიონისტების უმეტესობა არც ერთის საშუალებისა და არც მეორისა თანახმა არაა. «სტანდარტ»-ის სიტყვით, ამ დღეებში დეპუტატთა პალატაში ორივე პარტიის დეპუტატებს, რომლებიც ამ კანონის მომხრეები არიან, თათბირი ჰქონდათ; ამ დეპუტატებს მსჯელობა ჰქონდათ, თუ როგორ მოიქცეთ იმ შემთხვევაში, თუ სამინისტრო აღარ წარმოუდგენს პალატას ხსენებულ კანონსაო.

✡ უნიონისტი დეპუტატები წინანდებურად რიგზე არ ესწრებიან პარლამენტის სხდომებს; წინანდებურად ყურს არ უგდებენ თავიანთ გამგეთა თხოვნას. ასე, მაგალითად, ქვა-ნახშირზე დადებული ბაჟი სულ 40 ხმის უმეტესობით იყო მიღებული.

✡ ქ. ბ. ჰობდოუზის გამოკვლევა იმის თაობაზე, რომ ბურების ქალები და ბავშვები გაჭირვებულ მდგომარეობაში იმყოფებიან ინგლისურ ბანაკებში, თვით უნიონისტების წრეებშიდაც კი დიდ შთაბეჭდილებას ახდენს. უნიონისტების პრესსის სერიოზული ნაწილი თანაგრძნობით უცქერის ქ. ბ. ჰობდოუზის გამოკვლევას. «ობსერვერ» თანაგრძნობას უცხადებს მის «კეთილ-შობილ საქმეს», «სატურდეი რევიუ» დეპუტატებს უსაყვედურებს, საკმაო ყურადღებით ვერ შეჰხედეთ საქმესაო. «დეპუტატთა პალატის სახელსა და ღირსებას, ამბობს ხსენებული გაზეთი,—ბევრი დააკლდა მით, რომ პალატამ შემთხვევით არ ისარგებლა და კაცთ-მოყვარეობის დასაცველად გაბედულად ხმა არ აღიმაღლა.»

საფრანგეთი. დიურ სალიუსის საქმემ მცირე ყურადღება მიიქცია. ამ პროცესსის გმირს მხოლოდ არისტოკრატების კლუბებსა და სალონებში ადევნებდნენ თვალ ყურს: ამ წრეების ლეიბ გაზეთი «გოლუა» დიურ-სალიუსის ყოველ მიხვრა-მოხვრის, ყოველ ხელის გაქნევის ამბავს უამბობდა თავის მკითხველებს. რესპუბლიკურ პრესსას რაც შეეხება, დიურ-სალიუსის საქმეს არაგულით შეჰხედა და იმ აზრსაც კი გამოსთქვამდა, რომ კარგი იქნება სენატორებმა ბრალდებული სულაც გაამართლონო, რადგანაც დიურ-სალიუსი მეტად მოწადინებულია წამებულის სახელი გაითქვასო. ბრალდებულმა ვრცელ სიტყვაში უფრო საზოგადო პოლიტიკურ მდგომარეობაზე ილაპარაკა, ვიდრე შეთქმულობის საქმეზე. მოწმების ჩვენებაშიაც მეტად ცოტა იყო საინტერესო და ახალი. მოწმების ერთი ნაწილი სულაც არ მოვიდა, მხოლოდ შემოსთვალა, რომ სრულებით არა ვიცით-რა მაგ საქმისაო; მეორე ნაწილმა ისევ ის გაიმეორა, რაც წინა პროცესსის დროს ჰქონდათ ნათქვამი. მართალია, დიურ-სალიუსის დამცველი ვექილი ეცადა უფრო საინტერესო პოლიტიკურ საგანს შეჰხებოდა, მაგალითად, მოწმების შემწეობით ეცადა დაემტკიცებინა, რომ ვალდეკ-რუსსოს მთავრობამ ჯარის წეს-რიგი დაარღვიაო,—მაგრამ სენატის პრეზიდენტმა გააჩერა დამცველი და შეჰნიშნა, რომ ეგ საქმეს არ შეეხებაო; დამცველმა დაბოლოს გამოაცხადა, რომ სულაც უარს ამბობს და აღარა თხოულობს, რომ მოწმებს ჩვენება ჩამოართვანო. ამის შემდეგ ბრალდებულმა და დამცველმა წარმოსთქვეს სიტყვები. სასამართლოს განაჩენი უკვე ვიცით.

✡ პარიზის «ნიუ-იორკ ჰერალდ»-ში საინტერესო ცნობებია მოყვანილი, თუ საფრანგეთის სამინისტროთაგან რომელმა რამდენს ხანს გასძლო:

«შაბათს, 22 ივნისს (ახ. სტ.) ვალდეკ-რუსსოს სამინისტროს სამსახურს ორი წელიწადი შეუსრულდა. თავის ხანგრძლივობით მეოთხე ადგილი უჭირავს მესამე რესპუბლიკის სამინისტროებში. მელინის კაბინეტმა 2 წელიწადი 2 თვე და 1 დღე გასძლო, ჟიულ ფერრის კაბინეტმა—2 წელიწადი, 2 თვე და 13 დღე, და ტიერის სამინისტრომ—2 წელიწადი, 2 თვე და 29 დღე. 1870 წლის 4 ენკენისთვიდან საფრანგეთში 32 სამინისტრო გამოცვლილა; საშუალოდ ყოველ სამინისტროს 9 თვე უმსახურნია, 16 მათგანს ამაზე მეტი ხანი გაუძლია, 18-ს კი 9 თვემდეც ვერ მიუღწევია.

ესპანია. ტაიმს სწერენ მადრიდიდან:

«ანტიკლერიკალური კრება მოხდა, დიდ-ძალი ხალხი დაესწრო. მეტად აღმგზნებელი სიტყვები წარმოსთქვეს. თითქმის ყოველი ორატორი ამნაირი სიტყვებით ათავებდა თავის სიტყვას: «ყველა მონასტრები უნდა დავწვათ.» კრების გა-

---

ნახშირის სიმჟავეს, რომლის რაოდენობა განსაკუთრებით მატულობს მნათობლობის დროს და ეს ფაქტი კი ამ ტკიცებს, რომ ამ მდგომარეობაში არსების შემადგენელ პაწაწა ნაწილებში, უჯრებში ადგილი აქვს ჩვეულებრივზე უფრო მომატებულ ქიმიურ პროცესსებს, სხვა ორგანიული ნივთიერებანიც ფოსფორესცენციის დროს ჰბადებენ სხვა და სხვა ქიმიურ პროცესებს, რომლების დროსაც ნივთიერებათა შემადგენელი ნაწილები უერთდებიან ერთი ერთმანეთს და აჩენენ ან ისევ მათ წარმომშობ ნივთიერებას, ან სხვა რომელსამე ახალს, რასიკვირველია, თუ კი შეერთდებიან სხვა და სხვა ნივთიერებათა ნაწილები.

მართლაც ამის დასამტკიცებლად ურიგო არ იქნება მოვიყვანოთ ორი მშვენიერი გამოცდილება, რომლებიც თითქმის ნათლად ჰხსნიან ფოსფორესცენციის ქიმიურ ხასიათს. პირველი მდგომარეობს შემდეგში: პატარა ჭიქაში ჩაასხამენ ჯერ მაგარ გოგირდის სიმჟავეს, შემდეგ შიგვე ჭიქის კედელზე ჩაყოლებით ჩაასხამენ ალკოჰოლს, ისე, რომ ეს ორი სითხე ერთი მეორეში არ აირიოს და ბოლოსაც ჩაუდებენ შიგ ერთს პაწაწინა ნაჭერს ქამელეონისას (ქამელეონი სადეზინფექციო ნივთიერება არის და წყალში იხსნება წითელი ფერათ); ქამელეონი გაივლის ალკოჰოლს და მოხვდება გოგირდის სიმჟავეს. ამ დროს ნივთიერებათა შედგენილება იშლება და პირველის ე. ი. ქამელეონის შემადგენელი ნაწილი ესრედ წოდებული ოზონი ან ძლიერ მომქმედი მჟავბადი ნივთიერება ადის მაღლა, უერთდება ალკოჰოლის შემადგენელ ნაწილს, ნახშირს; და აი სწორედ იმ დროს, როდესაც იწყება ასეთი ქიმიური დაშლა და შეერთება დაშლილ ნივთიერებათა, ალკოჰოლის და გოგირდის სიმჟავის სამზღვარზედ ჩნდება მეტად ეფექტიური მნათობი ნაპერწკლები.

მეორე გამოცდილება, პირველზედ უფრო საყურადღებო და საკვირველიც პრაქტიკულის მხრით: არის ერთგვარი ორგანიული ნივთიერება ესრედ წოდებული „სამ-ფენილ ორ-ოკს-ამიდი“. თუ ჩვენ ამ ნივთიერებას გავხსნით წყალში და მივუმატებთ მას წმიდა, გამჭვირვალ კირის წყალს, *) შევამჩნევთ, რომ არეული ხსნილი იწყებს ნათებას. სინათლე, ხსნილის რაოდენობისდა მიხედვით ისეთი ძლიერია, რომ მის სხივებში თითქმის თამამად შეიძლება კითხვაც და წერაც; აქაც სინათლე ქიმიურ პროცესის შედეგია; კირის ხსნილის ზედგავლენით ორგანიული ნივთიერება ირღვევა თავის შემადგენელ ნაწილებათ, რომელთაგანაც ერთი ამონიაკია (ნაშადირ ალკოჰოლის წარმომშობი ნივთიერება), მეორე ანუ დარჩენილი ნაწილი კი უერთდება დაშლილ კირის წყლის მჟავბადს და აჩენს ახალს ნივთიერებას. გასაკვირველი ამ ქიმიურ პროცესში ის არის, რომ ერთის საათის განმავლობაში იხარჯება მხოლოდ 0,00379 გრამი ნივთიერებისა 20 c.c. წყალში გახსნილი და 0,00069 გრამი კირის წყლის მჟავბადისა, აქედგან ადვილი წარმოსადგენია, თუ რამდენს ხანს ანათებს ერთი და ათი გრამი ნივთიერებისა.

ამნაირად აქ მოყვანილ და კიდევ ბევრ სხვა ფაქტებისდა მიხედვით გაჩნდა ფოსფორესცენციის შესახებ ახალი თეორია: მოლეკული ნივთიერებისა *) სინათლის ზედგავლენით იშლება თავის თავის შემადგენელ ატომებად, რომლებიც დამშლელ ძალის მოსპობის შემდეგ ისევ ერთდებიან და ეს შეერთება, როგორც ატომთა მოძრაობა აჩენს სინათლის ეფექტს, რასაკვირველია, ზოგიერთ ნივთიერებაში მის თვისებისდა მიხედვით.

ფოსფორესცენციის მოკლედ განხილვის შემდეგ, რასაკვირველია, უფრო ადვილად წარმოვიდგენთ და გავიგებთ ახალ ელემენტის თვისებებსაც. ახალი ელემენტი რადი ურევია მხოლოდ ოდნავ ურან-ფისოვან მადანში, რომლიდანაც აქამდე ჰპოულობდნენ წმინდა ლითონს „ურანს“. ეს ლითონიც ძალიან ნაკლებად იმყოფება ურან-ფისოვან მადანში და ამიტომაც მას, როგორც უძვირფასეს მადანს, ხმარობდნენ მხოლოდ მეცნიერულ გამოკვლევებისათვის ლაბორატორიებში და აგრეთვე ფოტოგრაფიაშიაც.

ურან ფისოვან მადნის ზოგიერთი შემადგენელი ნივთიერებანი ადრევე იქცევდნენ მეცნიერთა ყურადღებას თავისის ფოსფორესცენციულ თვისებებით, მაგრამ შესწავლა ამ თვისებათა მოითხოვდა მეტად დიდს მატერიალურ ქონებას, რაც, საუბედუროდ ჩვენდა, თითქმის ყველგან და ყოველთვის მეცნიერების პროგრესის დამაბრკოლებელ მიზეზად უნდა ჩაითვალოს. მაგრამ მეცნიერება, ადრე თუ გვიან, მაინც თავისას შვრება და აი ამ ბოლოს დროს ბ. და ქ. კიურის მეოხებით ადამიანი ეცნობა კიდევ ერთს გასაკვირველ ბუნების საიდუმლოებას.

ახალის ლითონის «რადის“ აღმოჩენაში ბ. და ქ. კიურის დიდად ხელი გაუმართა ავსტრიის მართებლობამ, რომელმაც დაუთმო ამ მეცნიერთ უფულოდ რამოდენიმე ფუთი ლითონ ურანისაგან გადანარჩენი ნივთიერებისა; ასე, რომ ბ. და ქ. კიურის მართებდათ მხოლოდ დაუცხრომელი და ჯიუტი მუშაობა და ამ მხრით კი ბედნიერ ცოლ-ქმარს ნაკლი, რასაკვირველია, სულაც არ ჰქონიათ. ცოლ-ქმარი კიური

---

*) ამავე მიზნისათვის შეიძლება სხვა რომელიმე ტუტეს ხმარებაც; კირის წყალი კი აქ მოვიყვანეთ, როგორც ყველასათვის კარგად ცნობილი ტუტე.

*) ქიმიაში მოლეკულს ეძახიან ელემენტთა სულ პაწაწინა ნაჭერთ, ესრედ წოდებულ ატომთა ჯგუფებს, რომლებიდანაც შესდგება ყოველივე ნივთიერება; ელემენტს კი ეძახიან ისეთ ნივთიერებას, რომლის შემადგენელი ატომები ერთგვარი არიან.

თავების შემდეგ უწესობა დაიწყო. ხალხი ყვიროდით «რესპუბლიკას გაუმარჯოს»-ო ქუჩებს მოედო. წესიერების აღსადგენად პოლიციისა და ჟანდარმების მოწვევა შეიქმნა საჭირო; ამბობენ, რომ ინფანტა იზაბელას, როცა ის ხარების ჭიდაობიდან ბრუნდებოდა, მანიფესტანტებმა სტვენა დაუწყეს; იზაბელლა იძულებული იყო სასახლეში სხვა გზით წასულიყო.

✿ იმავე გაზეთს საინტერესო ადგილი მოჰყავს იმ პროკლამაციიდან, რომლითაც ხსენებული კრება იყო მოწვეული:

«ჩვენ გადაჭრით გადავწყვიტეთ, მხნედ პროტესტი გამოვაცხადოთ კლერიკალური დემონსტრაციების წინააღმდეგ. სარწმუნოებრივი გრძნობის წინააღმდეგ ჩვენ არას ვამბობთ. მაგრამ ჩვენ ვემტერებით ფარისევლობას, კლერიკალიზმს, თეოკრატიას, რეაქციას, ტაძრებს, რომლებიც დუქნებად გადააქციეს, და მონასტრებს, რომლებიც ბოროტ მომქმედთა თავშესაფარად გადიქცა; გვმობთ კლერიკალურ ბრბოს, რომელმაც მთელი ერის სიმდიდრე ხელში ჩაიგდო, კაზარმებში შედის, ჰშხამავს ადამიანის სინიდისს, განხეთქილებას სთესს ოჯახთა შორის, კეთილ გრძნობით და ქველ-მოქმედებით ბოროტად მოქმედებს და მთელი სახელმწიფოის დაპყრობას აპირებს. ეხლა ასეთი დროა საიმისოდ, რომ ყველა «ლიბერალები შევიკრიბნეთ და კლერიკალიზმს მედგარი ბრძოლა გავუწიოთ».

სამხრეთ-აფრიკა. თვით შოვინისტიური გაზეთი «დეილი მაილ»-იც აღარა ჰმალავს, რომ ინგლისელების საქმე სამხრეთ-აფრიკაში ვერ მიდის მაინცა და მაინც შესანიშნავად. ამ გაზეთის კორესპონდენტის სიტყვით, ბურების შესევა კაპის ახალ-შენში უფრო და უფრო ძლიერდება და საშიში ხდება. ეხლა სჩანს, რომ მტერი გაცილებით უფრო ძლიერი ყოფილა, ვიდრე მთავრობას ეგონა. ახალ-შენში ბურები ახალ მომხრეებსა და ცხენებს შოულობენ; აღმოსავლეთ და შუა ოლქებში ბურების რიცხვი 7—10 ათასამდე ადის. კორესპონდენტი დასძენს, რომ ინგლისის მოხელეები ამბების გამოცხადებას ჰკრძალავენ და ყოველ-ნაირად აბრკოლებენო. თუ გინდათ, რომ ნამდვილი ამბავი შეიტყოთ, იმ კაცებს უნდა გამოჰკითხოთ, რომლებიც ბრძოლის ადგილებიდან მოდიანო. დასასრულს «დეილი-მაილ»-ი სჩივის, რომ ინგლისის ერს უმალავენ საქმის ნამდვილ მდგომარეობასაო.

✿ «სტანდარდ»-ს სწერენ პრეტორიიდან, რომ გენერალი ბლოდი, რომელიც აღმოსავლეთ ტრანსვაალში ბოტას წინააღმდეგ მოქმედებდა, ვერას გახდაო: გენერალს საკმაო ჯარი არა ჰყავდა და ამიტომ გენერალმა ბოტამ ისევ დაიჭირა თავისი წინანდელი სიმაგრეები ერმელოს ახლო; ამავე დროს გენერალ ბენ-ვილიენმა ჩრდილოეთისაკენ დაიწიაო.

✿ «რეინოლდ ჟურნალ»-ში ბურების ქალების და ბავშვების ფოტოგრაფიული სურათია დახატული, რომელიც ერთ ინგლისელ ქალს გადაუღია ბლოუმფონტენში. სურათს სათაურად აწერია: «ომი ქალებთან და ბავშვებთან». ქვეშ კიდევ ამავე ინგლისელი ქალის წერილის ნაწყვეტია მოყვანილი: «პატარა ლიზა ვან-ზალ, 8 წლისაა. მას აქეთ, რაც ბანაკში მიიყვანეს, ფეხები სულ დაუდუნდა; ეხლა სკელეტის (ჩონჩხის) ფეხებს მოაგონებენ კაცსა, ვიდრე ცოცხალი ბავშვისას. ბევრი სხვა ბავშვებიცაა ამისთანავე ყოფაში; ცუდი საჭმელი ეძლევათ და ვერ იტანენ; ამას გარდა სიცხისაგანაც ძალზე არიან შეწუხებულნი. საზოგადოდ ყველა ბავშვები დიდ საცოდაობაში არიან». თავის მხრივ გაზეთი დასძენს, რომ ეს ფოტოგრაფიული სურათი ისეთსავე საზარელ შთაბეჭდილებას ახდენს, როგორსაც დამშეული ინგლისელების შარშანდელი სურათები ახდენდაო.

ახალი ამბავი

✦ რუსეთის სატეხნიკო საზოგადოების კავკასიის განყოფილებამ სამშაბათს, 19 ივნისის სხდომაზე გარდასწყვიტა წელს შემოდგომიდან ტფილისში გამართოს მუშათათვის კურსები ხაზვა-ხატვისა უფასოდ. საზოგადოებას ამ საქმისათვის ამ ჟამად აქვს 800 მანეთამდე. ამავე სხდომაზე კრებამ დაადგინა შეთანხმდნენ ამ საზოგადოების ბაქოს განყოფილებასთან იმის შესახებ, რომ კავკასიის სამეურნეო სამრეწველო გამოფენის სატეხნიკო განყოფილების საუკეთესო ექსპონატების დასაჯილდოებლად ორივე განყოფილების სახელით იქმნეს შეძენილი ვერცხლის და ოქროს მედლები.

✦ კავკასიის სამეურნეო-სამრეწველო გამოფენის გამმართველ კომიტეტმა გუშინ, 20 ივნისს, მიიღო ბაქოს ქალაქის გამგეობისაგან 5000 მ., რომელიც ბაქოს ქალაქის საბჭომ გადასდო გამოფენის გასამართავად საჭირო თანხის გასაძლიერებლად.

✦ ტფილისის გუბერნიის ხაზინამ შეატყობინა კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას, რომ მას მოუვიდა სამთო დეპარტამენტიდან 3½ ათასი მანეთი ხსენებულ საზოგადოების გადასაცემად მომავალ გამოფენის მოწყობისათვის („კავკაზი“).

✦ პარასკევს, 22 ივნისს, ტფ. ქალაქის საბჭოს დარბაზში სხდომა ექმნება რუსეთის საიმპერატორო სატეხნიკო საზოგადოების კავკასიის განყოფილების წევრთა, რომელთაც უნდა ამოირჩიონ განყოფილების გამგეობის წევრები და თავმჯდომარე; ამავე სხდომაზე ინჟ. კარაპეტოვი განაგრძობს თავის მოხსენების კითხვას სახლებისა, ქუჩების და მოედნების განათების შესახებ.

✦ ყაზახის მაზრიდან ოთხმა-ხუთმა კაცმა გამოაცხადა სურვილი კავკასიის სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის მიღებისა.

✦ ორშაბათს, 18 ივნისს, სხდომა ჰქონდა სასანიტარო საექიმო საბჭოს. სხდომაზე ლაპარაკი ჰქონდათ მომავალ გამოფენაში მონაწილეობის მიღებაზე და დაადგინეს გამოფენისათვის დაბეჭდონ ისტორია ტფილისის სასანიტარო-საექიმო დაწესებულებათა და სხვა და სხვა ავადმყოფობათა გავრცელების დიაგრამა. ამ საქმისათვის საჭირო იქმნება 500 მ., რომელსაც ხსენებული საბჭო სთხოვს ქალაქის გამგეობას.

✦ უმართებულესმა სენატმა განიხილა საკასაციო საჩივარი თ. კ. წულუკიძისა, რომელსაც მარიამ წულუკიძის მოტაცებისათვის ტფილისის სამოსამართლო პალატამ ყველა ღირსების ჩამორთმევა და კატორღა გადაუწყვიტა, დაარღვია სამოსამართლო პალატის დადგენილება და მიუწერა მას საქმის მეორედ განხილვა.

✦ პარასკევს, 22 ივნისს, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგომში სხდომა ექმნება სამოქალაქო ინჟინერთა საზოგადოებას იმ საკითხის შესამუშავებლად, თუ როგორი მონაწილეობა მიიღონ სამეურნეო-სამრეწველო გამოფენის სატეხნიკო განყოფილების მოწყობაში.

✦ რუსეთის სატეხნიკო საზოგადოების კავკასიის განყოფილებამ თავის წარმომადგენლად კავკასიის გამოფენის გამმართველ კომიტეტში დანიშნა ინჟინერ ტეხნიკოსი ბ-ნი ბახმეტიევი.

✦ ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ უფის ქალაქის თავმა მიჰმართა რუსეთის ყველა ქალაქის თავებს, გამოეთქვათ თავიანთი აზრი თვით-მმართველობათა წარმომადგენლების საერთო კრებების საჭიროებაზედ. ტფილისის ქალაქის თავმა შეატყობინა ამ საქმის ინიციატორს, რომ იგი თანაუგრძნობს ამ გვარ კრებებს.

✦ ბ. ყორღანოვი იწვევს ადგილობრივ პრესის წარმომადგენლებს 24 ივნისისათვის განსახილველად მოწყალეობისა და ბეჭდვის მუშათა დამხმარებელ საზოგადოების წესდებისა.

✦ გუშინ წინ სხდომა ჰქონდა იმ კომისიას, რომელსაც მინდობილი აქვს ტფილისის სახლების დანომრვის საქმე. კომისიამ საჭიროდ დაინახა ყოველ სახლზე გაკრული იყოს ლითონის პლაფატი, რომელზედაც ეწერება სახლის №-ი, ქუჩის სახელი, სახლის პატრონის გვარი და პოლიციის ნაწილის ნომერი.

✦ ჩვენის ქალაქის ზოგიერთ ოხუნჯებს ერთი საკვირველი ოხუნჯობა გამოუგონიათ: ღამე ტელეფონით იწვევენ ექიმებს, უფრო ხშირად უნიკოლოფოვის აფთიაქში მორიგეთ, ვითომდა მძიმე ავადმყოფთან. ექიმები მიდიან და არც ავადმყოფი და არც ექიმის მომწვევი არა სჩანს. რაინდების ასეთ მოქმედებას შედეგად ის მოჰყავს, რომ მორიგი ექიმი შიშობს წავიდეს დაძახებაზე.

✦ თევზის მოშენებისა და ჭერის რუსეთის საიმპერატორო საზოგადოების გამგეობამ შეატყობინა კავკასიის სამეურნეო სამრეწველო გამოფენის გამმართველ კომიტეტს, რომ 21 აპრილის სხდომაზე საზოგადოების წევრთა საზოგადო კრებამ დაადგინა გამოგზავნოს კომიტეტის განკარგულებაში სამი ვერცხლისა და 5 ბრინჯაოს მედალი გამოფენაზე საუკეთესო ექსპონატების დასაჯილდოებლად.

✦ გადამდებ სენით ავადმყოფთა ბარაკების მოიჯარადრე სთხოვს ქალაქის გამგეობას, ხსენებულ ბარაკების ჩაბარების ვადა გამოუცვალონ, რადგან იგი ვერ ასწრებს ხელშეკრულობაში აღნიშნულ ვადისათვის დაამთავროს შენობები.

✦ ამიერ კავკასიის რკინის გზის მოსამსახურეთა მომხმარებელ საზოგადოების გამგეობა თხოულობს, რათა ტრამვაის ვაგონები ჩერდებოდნენ ხსენებულ საზოგადოების ყველა დუქნებთან.

✦ უმაღლესის ბრძანებით, კავკასიის ოლქის გზათა უწყების უმფროსად, სტატსკი სოვეტნიკის ფლორინის ნაცვლად, დაინიშნა სტატსკი სოვეტნიკი გურევიჩი.

✦ ალექსანდრეს დაჭრილთა კომიტეტის 14 ივნისის დადგენილებით ოდესის ნიკოლოზ 1-ლის სახელობის ინსტიტუტში კომიტეტის ხარჯით მიღებულ იქმნა პრაპორშჩიკის ქალი ბარბარე გაშალომიძე, ხოლო ამიერ კავკასიის ინსტიტუტში პორუჩიკის ქალები: ელენე მიქელაძე და ბარბარე გოგიტიძე.

✦ დღეს, 21 ივნისს, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების სადგომში სხდომა ექმნება იმ კომისიას, რომელსაც მიენდო—

ერთნაირის გატაცებით ემსახურებიან მეცნიერებას, არა ჰზოგავენ თავის ძალ-ღონეს საქვეყნო საქმისათვის, ერთი მეორისათვის გონივრული და ფიზიკური თანაშემწეა და, რაღა თქმა უნდა, ასეთ ძალას ვეღარ დაემალა ბუნების საიდუმლოება და საქვეყნოთ გამომჟღავნდა.

ამ მეცნიერებმა ორ ფუთ ურანისაგან გადარჩენილი ნივთიერება ასჯერ და ათასჯერ ქიმიურად გასჩხრიკ-გაჰქექეს და აღმოაჩინეს ახალი ელემენტი როდი, რომელიც თავისის სიმძიმით, სიმჰარხნით წააგავს ელემენტ ბარიუმს, თუმცა ამავე დროსვე ძალიან განსხვავდება ამ უკანასკნელისაგან თავისებურ საკვირველ თვისებებით. ურანისაგან გადარჩენილ ნივთიერების დაშლის შემდეგ ბ. და ქ. კიურიმ შეამჩნიეს, რომ ორი მათი შემადგენელი ნივთიერებათაგანი ბარიუმის და ბისმუტის მარილები შესამჩნევად ფოსფორესცენციობენ, ე. ი. ნათებენ და ამიტომაც მათ ხელი მიჰყვეს ამ ნივთიერებათა გამოკვლევას, მით უმეტეს, რომ წმინდა, სხვა მადნებიდან მიღებული ასეთივე მარილები არ იძლეოდნენ ამგვარ ფოსფორესცენციას; აქედან მათ დაასკვნეს, რომ უთუოდ ურან-ფისოვან მადნისაგან მიღებულ მარილებში—ქლორიან ბარიუმში და ქლორიან ბისმუტში იმყოფება ისეთი რამ ახალი ნივთიერება, რომლის ზედგავლენითაც სჩნდებოდა მათში ფოსფორესცენცია. მართლაც და ასეთი დასკვნა, როგორც ქვევით დავინახავთ, უტყუარი გამოდგა. ახალის ნივთიერების აღმოსაჩენად შეუძლებელი იყო რაიმე ქიმიურ საშუალების ხმარება, რადგან უცნობ ნივთიერების ქიმიური თვისებანი სულაც არ არსებობდნენ მეცნიერებაში და ამიტომაც ბ. და ქ. კიურიმ მიჰმართეს ისევ მეხანიკურ საშუალებას ესრედ წოდებულ კრისტალად ქცევას. უკანასკნელ ტერმინის მნიშვნელობა მკითხველს არ ეგონოს ძნელად წარმოსადგენი რამ; კრისტალად ქცევა, უეჭველია, ყველა მკითხველთაგანს უნახავს, მაგალითად, მურაბის მოდუღების დროს, ან-და მარილის გაწმენდის დროს; თუ მურაბაში ზედ მეტი შაქარი გაურიეს, მაშინ გაცივებულ მურაბის წვენში ჩნდება პაწაწინა, განსაზღვრულ აგებულობის შაქრის ნაჭრები; ან წყალში თუ გავხსნით იმდენ მარილს, რომ იმაზედ მეტის გახსნა შეუძლებელი შეიქმნება, ჩვენ შევამჩნევთ წყალში მრავალ ოთხ-კუთხოვან პაწაწა მარილის ნაჭრებს. აი ეს პაწაწინა შაქრის, მარილის და სხვა ნივთიერებათა განსაზღვრულ აგებულობის ნაწილები, რომლებიც იბადება ნივთიერებით გაჟღენთილ სითხეში, არის მეცნიერებაში ესრედ წოდებული კრისტალი; ხოლო თვით ამ კრისტალების მიღების საშუალებას უწოდებენ „კრისტალად-ქცევის“ სახელს. სწორედ ამ გვარ საშუალებას მიჰმართეს ბ. და ქ. კიურიმ. მათ აიღეს დიდ-ძალი ქლორიანი ბარიუმი და ქლორიანი ბისმუტი, გახსნეს ისინი წყალში ცალ-ცალკე, სანამ კი წყალს შეეძლო მათი შეთვისება, შემდეგ წყალში წარმოშობილი უფრო წმინდა კრისტალები ხელ-მეორედ გახსნეს ახალს წყალში; მიიღეს კიდევ უფრო წმინდა და, რასაკვირველია, პირველზედ უფრო ნაკლები (რაოდენობით) კრისტალიური ნივთიერება, რომელიც უფრო ფოსფორესცენციული გამოდგა, ვიდრე პირველი, და ამ რიგად როცა მრავალ ჯელ გაიმეორეს კრისტალად ქცევა, ბოლოს ორ-ფუთ ნივთიერებისაგან, მაგალითად, ქლორიან ბარიუმიდგან მიიღეს გრამის მეათედი ნაწილები თეთრის ახალის ნივთიერებისა. მართალია, ამ ახალ ნივთიერებაში მაინც დარჩა ცოტაოდენი ქლორიანი ბარიუმი, მაგრამ მიუხედავად ამისა, თავისებური სიმძიმე შედარებით სხვა უკვე ცნობილ ელემენტებთან და განსაკუთრებით კი სპექტრალური გამოკვლევა ახალ ნივთიერებისა ნათლად ამტკიცებდა მის მარტივობას და თავისებურებას. აქ საჭირო არის ეს ნივთიერების დამახასიათებელი საშუალებაც, სპექტრალური ანალიზიც მოვიგონოთ. საზოგადოთ სპექტრს ეძახიან იმ ფერადოვან სურათს, რომელსაც აჩენს ბროლში გასული ამა თუ იმ მნათობ საგნის სხივები. ასეთ სურათის მისაღებად ალის ფრამდე გახურებულს ნივთიერებას წინ უნდა დაუხვედროთ როგორიმე არა გამსჭვირვალი, რგვალ სვრეტილიანი ფარდა და ამნაირად ფარდას იქით მიიღოთ მხოლოდ ის ჯგუფი სხივებისა, რომლებიც გაივლიან სვრეტილაში; რაკი მიიღებთ განსაზღვრულ ნივთიერების სხივებს, რასაკვირველია, სიბნელეში შემდეგ მათ წინ დაუხვედრებთ სამკუთხიან კოლოფის მზგავს ბროლს და ამ რიგად წარმოშობილ ფერადოვან სურათს ბროლის უკან მიიღებთ როგორსამე მეორე ფარდაზედ (უმჯობესი კი იქნება თეთრ ფარდაზედ). აი ამ საშუალებით მეცნიერებმა მიიღეს და ქაღალდზედაც კი გადაჰხატეს ყველა ცნობილ ელემენტთა სხივების სურათები ანუ სპექტრები. ყოველსავე ელემენტს თავისი სპექტრი აქვს და აი სწორედ ამაში მდგომარეობს სპექტრის საშუალებით ნივთიერების გამოკვლევა.

ბ. და ქ. კიურიმაც მიიღეს ახალ ნივთიერების სპექტრი და აღმოჩნდა, რომ ის არც ერთ ელემენტის სპექტრს არ ჰგავდა და იმ ელემენტის სპექტრიდანაც კი სრულებით განსხვავდებოდა, რომლიდგანაც ხანგრძლივის კრისტალად ქცევის შემდეგ ის მიღებული იქმნა. ამნაირად. ბ. და ქ. კიურიმ აღმოაჩინეს ახალი ელემენტი და მშვენიერადაც დაამტკიცეს, რომ მართლაც ის ახალი მარტივი საგანია, როგორც არის ყოველივე ქიმიური ელემენტი.

საბა—ა. კლდიაშვილი.

(დასასრული იქნება)

შეიმუშავოს წესი, თუ როგორ იქმნეს კავკასიის გამოფენაზე **მანჯურ წვრილფეხ საქონლის** განყოფილება მოწყობილი.

✦ ჩვენმა მკითხველებმა იციან, **ექ. ს. თოფურიას სამკურნალოს** (ქუთაისში) კასიდან ამას წინედ მოიპარეს ოთხი-ათას მანეთამდე და რომ ეჭვი მიიტანეს ხსენებულ სამკურნალოს კასირზე თ. მიქელაძეზე, რომელიც დააპატიმრეს კიდეც. ეხლა აღმოჩენილა, რომ ქურდები ყოფილან სამკურნალოს დარაჯები. ერთი მათგანი, ბოგუაძე, უკვე შეიპყრეს, მეორეს კვალს ჯერ ვერ მიაგნეს. უდანაშაულო მიქელაძე, რასაკვირველია, გამოუშვეს სატუსაღოდან.

✦ როგორც შევიტყვეთ, ტფილისში ახლად შემდგარი **სომხური დრამატიული საზოგადოება** უკვე შეუდგა საქმეს. სხვათა შორის, წინადადება მიუცია ბაქოს დრამატიულ საზოგადოებისათვის, რომ ორივე დასი შეაერთონ და ნახევარი სეზონი ტფილისში მართონ წარმოდგენები და ნახევარი ბაქოში.

✦ მოგვივიდა ბ. ფილიპე გოგიჩაიშვილის „Das gewerlein Georgien“. წიგნის შინაარსს ამ მოკლე ხანში გავაცნობთ ჩვენს მკითხველებს.

✦ სომხურ გაზ. „ნორ-დარ“-ის სიტყვით, სოფ. ვაჩიანში, დიდი ელვის და წვიმის შემდეგ მაღალ მთებიდან წამოსულა წარღვნის მგზავსი **საშინელი ნიაღვარი** და სოფლის ნახევარი მთლად გაუნადგურებია, სახლები ძირიანად დაუნგრევია; დამხრჩვალა ერთი 30 წ. დედაკაცი და 3 წ. ბავშვი. გულ-გახეთქილი სოფლელები თავის საშველად სოფლიდან გაქცეულან.

✦ დ. ხონიდან გვატყობინებენ: „კვირას, 17 ივნისს, საზაფხულო თეატრის სადგომში, ადგილობრივ ახალგაზდობის თაოსნობით გამართულ იქმნა **საქველ-მოქმედო მიზნით წარმოდგენა**. წარმოადგინეს დ. ერისთავის 5 მოქ. დრამა „სამშობლო“. წარმოდგენაში, სხვათა შორის, მონაწილეობას იღებდნენ ქუთაისის თეატრის არტისტები: ქ. ივანიძე; ბ.ბ. ბალანჩივაძე, ჩარკვიანი, არაბიძე და სხვ“.

✦ ქუთაისიდან გვატყობინებენ: „აქ ამ თვის დამლევს მოელიან სამიწად-მოქმედო მინისტრის რწმუნებულს **ი. ს. მედვედევს**, რომელსაც განზრახვა აქვს დაათვალიეროს ხსენებულ სამინისტროს სხვა-და-სხვა დაწესებულებანი“.

✦ ქუთაისიდან გვატყობინებენ: „კვირას, 17 ივნისს, ქალაქის თეატრში, ადგილობრივ ნოქართა თაოსნობით სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილ იქმნა „პატარა კახი“ საქველ მოქმედო მიზნით. წარმოდგენის მთელი შემოსავალი განზრახვა აქვთ გაუგზავნონ კიევის ქართველ სტუდენტებს, მათი ვალის დასაფარავად“.

✦ როგორც გამოგვცეს, დ. ხონის სამოქალაქო სასწავლებლის ინსპექტორი **გ. ა. პროკოპიევი** სხვაგან გადაჰყავთ.

✦ როგორც დასავლეთ საქართველოდან გვატყობინებენ, **პარკების ფასებმა** იქ ამ ბოლო დროს აიწია 10 მანეთამდე. ამ გარემოებამ მეტად შეაწუხა ზოგიერთი მეაბრეშუმეები, რომელთაც ადრე გაჰყიდეს თავიანთი პარკები 8 მან. კვალობაზე. ცუდი ამინდების გამო ყანები დაუმუშავებელი დარჩა და უმეტესი მათგან კიდეც გაფუჭდა. დღიური მუშა იმერეთში მეტად გაძვირდა—1 მ., 1 მ. და 20 კაპ. ნაკლებ დღიურ მუშას ვერ იშოვი.

✦ საბჭოს უბნის ექიმს **გედევანიშს** ნება მიეცა ორის თვით საზღვარ-გარეთ წავიდეს. ამ ორის თვის განმავლობაში მას **ჯამაგირი** არ მოესპობა.

✦ მიწად-მოქმედების სამინისტრომ ცირკულიარით მოსწერა ამიერ კავკასიის **ტყის დამცველ კომიტეტებს**, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ტყეების ექსპლოატაციის წესიერ მოწყობას და, სადაც შესაძლებელი იქნება, წააქეზონ მემამულენი ტყის მოშენებაზე, ახლად მოშენებული ტყე 30 წლის განმავლობაში თავისუფალი იქნება ყოველ სახელმწიფო გადასახადისაგან.

✦ ტფილისის **გაჭრობის და მანუფაკტურის კომიტეტს** და ვაჭართა გამგეობას ერთად უქირავებიათ სადგომი ფრიდონოვის სახლში, სერგიევის ქუჩაზედ.

✦ **ბ. ენფიანჯიანცი** საბჭოს **ხმოსანიც** არის და ქალაქის გამგეობის **მოხელეც**. საბჭოში იგი მონაწილეობას იღებს ისეთ საქმეების გადაწყვეტაში, რომელიც შემდეგ თვითონ მან უნდა შეასრულოს, რადგან იგი გამგეობისაგან დაქირავებული მოხელეა. ქალაქის დამფასებელს შეუძლია ხმოსნობა, ამბობენ ზოგიერთები, რადგან მას საბჭო ირჩევსო; ქალაქის ინჟენრის თანამდებობა, კი მგონი, საარჩევანო არ უნდა იყოს

✦ გუშინ წინ, ღამით ლეიცის სახლის ქვემო სართულში ფქვილის საწყობიდან გამოუტანიათ მეორე გილდის ვაჭრის იშხანოვის ფქვილი 45 მან. ღირებულობისა; ბოროტ-განმზრახველნი ჯერ ვერ მიუგნიათ.

✦ პოლიციის პირველ ნაწილში პოლიციის მოხელემ ლაზარევმა შეიპყრო ამას წინად ტფილისის საპყრობილედან გაქცეული ალამამედ-ალაოღლი; ალამამედს კაცის მკვლელობისათვის გადაწყვეტილი ჰქონია ზოგიერთ უფლება-უპირატესობათა ჩამორთმევა და 3 წლის ვადით პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა. ალამამედ ოღლი პოლიცმეისტრის განკარგულებით მეტეხის ციხეში იქმნა გაგზავნილი.

ტფილისის საბაღოსნო სკოლის გადატანის გამო

(წერილი კახეთიდან)

საბაღოსნო სკოლის უფროსებს განუზრახავთ ამ სკოლის გადატანა უფრო შესაფერ ადგილას. ამის გამგონს ბ. ბაგრატ წერეთელს წინადადება მიუცია, მე შევსწირავ ათას დესიატინა მიწას, სკოლა ჩემს მამულში გადმოიტანეთო. შესაწირავი მამულის გასინჯვა დაევალა ბ-ნ დემენტიევს, რომელმაც გასინჯა იგი 13 და 14 ივნისს და თავის აზრს წარუდგენს ამ მოკლე ხანში სამეურნეო საზოგადოებას. ბ-ნი ბაგრატ წერეთლის მამული მდებარეობს ცივ-გომბორის მთა-გრეხილის წვერზე და შესდგება იალაღისა და წიფლის ტყისაგან. ძალიან მდიდარია ეს მამული მარილით, ნავთით, მარმარილოთი და სხვ., ას-წლოვანი, უზარმაზარი წიფლის ხეები ამშვენებენ ამ მამულს.

ამ შვიდ-რვა წლის წინად ბ-ნმა წერეთელმა აქ დაასახლა ფშავლები, რომელთაც ტყე გატეხეს და ხვნა-თესვა დაიწყეს, მაგრამ სიცივემ მცენარეულობას სითამამე წაართო. მართალია, არის კავკასიონის მთებში ადგილები იმავე სიმაღლისა (4000 ფუთი ზღვის-ზედაპირიდან), სადაც ზოგი მცენარე კარგად მოდის, ხოლო ის ადგილები მყუდრო ადგილებია, ე. ი. ჩრდილოეთიდან მოფარებული და სამხრეთით ისე ღია, რომ მზის სხივი არა ჰშორდება ჩასვლამდის, მაგრამ ბ. წერეთლის ადგილი იმ პირობებს მოკლებულია: ჩრდილოეთიდან არ არის კარგად დაფარული და სამხრეთით კი ისეა დაფარული ამავე მთა-გრეხილის უმთავრესის ქედით, რომ შუადღის შემდეგ მზე ეფარება და ეს ქედი აჩრდილებს. დასახლებულებმა ფშავლებმა იკადრეს ბარგის შეკვრა და წავიდნენ, ზოგნი კი დღესაც ქერის თესვით გამოდიან. ეს მამული ყველაზე ახლო სოფლიდან 8—10 ვერსზე არის დაშორებული, ხოლო ეს მოკლე გზა ისე გრძელი სასიარულოა, რომ 20—30 ვერსის გავლა სჯობია. თქმა არ უნდა, გზის გაკეთება შეიძლება, თუ ფული იქნება, თუნდა რკინის გზაც გაკეთდება, თუ სხვაფრივ დამაბრკოლებელი არა აღმოჩნდა-რა.

საბაღოსნო სკოლის დანიშნულება, როგორც მოგეხსენებათ, საბაღოსნო დარგის ცოდნის გავრცელებაა. ამ დანიშნულებას მიაღწევს სკოლა თვალსაჩინო მაგალითით და ბაღოსნობის მცოდნე პირთა გამრავლებით. ამისათვის საჭიროა, რომ საბაღოსნო სკოლის სამაგალითო ბაღის ნიადაგი და ჰავა შეეფერებოდეს, ემზგავსებოდეს იმ ქვეყნის ნიადაგს და ჰავას, სადაც საბაღოსნო სკოლაა. კახეთს დიდად და დიდად უჭირს სამეურნეო ყველა ნაირი ტიპის სკოლა. ამას ყველა ჰგრძნობს. თუ კახეთი იქმნება იქნობამდის ბედნიერი, რომ აქ გადმოიტანენ საბაღოსნო სკოლას, უნდა ისეთს ადგილზე მოათავსონ იგი, რომელიც წააგავდეს კახეთის მამულებს.

მთელი კახეთი ნიადაგისა და ნიადაგის ქვეშ მიწის შედგენილობით საზოგადოდ ორ ნაწილად იყოფება: ალაზნის მარჯვენა ნაპირას და ალაზნის მარცხენა ნაპირას მდებარე მამულებად. პირველის ნიადაგი ან შავი, ან წითელი, ან ლამი მიწაა, ნიადაგის ქვეშ ან ყვითელი, ან თეთრი აყალოა, ან კიდევ ესრედ წოდებული თონის მიწა. აქედან გამოირიცხება ის მამულები, რომლებიც ხევების ახლო მდებარეობენ და ნიაღვრით ილეკებიან, აქ ნიაღვრისაგან წლითი-წლობით შეტანილი ქვიშა ერევა ნიადაგს და მის ქვედა პირსაც.

ალაზნის მარცხენა ნაპირზე მდებარე მამულების ნიადაგი და მის ქვეშეთა კეცი ვიდრე ორ საჟენამდის ქვიშრობია.

აქედან წარმოსდგება ის გარემოება, რომ ალაზნის გაღმა ურწყავად არა მოდისრა, გამოღმა კი ურწყავად ყველაფერი მოდის, სიმინდის გარდა, და, თუ წვიმიანი ზაფხულია, სიმინდსაც არ უნდება მორწყვა. თუ საბაღოსნო სკოლა კახეთში მოთავსდება, ისეთი ადგილი უნდა იყოს არჩეული, რომელიც ალაზნის ორივე ნაპირის მდებარე მამულებსა ჰგავდეს ნიადაგისა და მის ქვეშ კეცის შედგენილობით. ამისთანა მამულები არის ხევების პირას. ამათში იმას უნდა მიეცეს უპირატესობა, რომლებიც სამაზრო ქალაქს ახლო მდებარეობს, რადგანაც სკოლაში მასწავლებელთა და მოსწავლეთათვის სურსათი და საწოვაგე მცირე საზრუნავს არ წარმოადგენს და მის დაკმაყოფილებას ვერც სოფელი აუვა და ვერც თვით სკოლის საოჯახო სარისტა.

ჩვენ მაზრასა ჰყავს ორი მემამულე, რომელთაგან თვითეულს შეუძლიან ნათქვამი პირობებიანი მამული 15—20 დესეტინა დაუთმონ საბაღოსნო სკოლას უფასოდ და მით საუკუნოთ დაავალონ კახეთი. ესენი არიან თავადნი იოსებ და გენო ქობულაშვილები.

საჭიროა, ჩვენმა მაზრის თავად-აზნაურობამ და ყველა შეგნებულებმა სთხოვონ თავ. ქობულაშვილთ, რომ შეწირულების განცხადება დროზე მოხდეს და დროით შეუდგნენ სასკოლო შენობ-ს აგებას. სრული იმედი გვაქვს, თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. დიმიტრი ჩოლაყაშვილი ჯეროვანს მონაწილეობას მიიღებს ამ საქმის კახეთის სასარგებლოდ წარსამართავად და კახეთს არ დაუკარგავს იმ სკოლას, რომელსაც ასე ძალიან საჭიროებს იგი.

აგრეთვე სრული იმედი გვაქვს, თვით თავ. იოსებ და გენო ქობულაშვილები არ დაიშურებენ 15—20 დესეტინა მიწას ამისთანა საშვილი-შვილო საქმის გაკეთებისათვის.

ნადიკვრელი.

საღამოს დეპეშები

20 ივნისი.

ჩელიაბინსკი. ჩელიაბინსკის ახლო მდებარე მაზრებში მოსავალი სხვა-და-სხვანაირია; კამიშლოვის მაზრაში კარგია, ირბიტისაში—გვარიანი, ტიუმენისაში—გვალვაა; სიცხეებია; იშვიათად წვიმაც მოდის. პურს ბევრს თხოულობენ.

ლეიფციგი. ლეიფციგის ბანკის გაკოტრებით გამოწვეულ ზარალის გამო გაკოტრდა ლემანის ფლანელის ფაბრიკა ბერინგენში (საქსონია), აქციონერული საზოგადოება, რომლის კაპიტალი 750.000 მარკა იყო. ლეიფციგის თიხის ნაწარმოების ქარხანა ბრანდისში, აქციონერული საზოგადოება, რომლის კაპიტალი 1.200.000 მარკა იყო. „ჰუმანიტერ შტივტუნმა“ ლეიფციგში იზარალა 500,000 მარკა. კობურგში ვინმე გრეინერი ისეთ სასოწარკვეთილებაში მოვიდა ლეიფციგის ბანკის გაკოტრების გამო, რომ ჯერ ცოლი და ქალიშვილი დასჭრა და შემდეგ თავი მოიკლა.

ნიუ-იორკი. უკანასკნელ დღეებში აქ მზემ დაჰკრა 183 კაცს და ამავე მიზეზით მოკვდა 87 კაცი. უკანასკნელ ხუთის დღის განმავლობაში მოკვდა ამ მიზეზით 136 კაცი.

ბერლინი. ლლოიდის გემით „ბაიერნ“, რომელიც 7 ივლისს გამოდის შანჰაიდან, მოდის გერმანიაში ჩინეთის საგანგებო დესპანები პრინც ჩუნის მეთაურობით. 9 აგვისტოს გემი გენუაში უნდა მოვიდეს.

იოკოჰამა. სეულიდან მოსულ ცნობებით, კორეიამ მოულოდნელად მოსთხოვა იაპონიას დახუროს თავის ფოსტამტები კორეიაში და წაიყვანოს თავისი მოხელეები.

ტიანძინი. იტყობინებიან, რომ მაჰმადიანთა და მკვიდრთა შეტაკების დროს შენიანთან, ჩჟილისა და მანჩჟურიის საზღვრებზე, მაჰმადიანები დამარცხდნენ. ერთი მაჰმადიანი მოლა მოკლულია.

ტრიესტი. გემ „მანჩჟურიის“ ნახშირის საწყობში თავისით გაჩნდა ცეცხლი იმ დროს, როცა გემი ოდესაში აპირებდა წასვლას. იმედი აქვთ, რომ ღამის განმავლობაში ცეცხლს ჩააქრობენ. ზღვის პრ ფექტი წავიდა ვერფზე. ზარალი უდრის 10—15 ათას კრონს.

ლონდონი. დეპუტატების პალატა. კრანბორნი აცხადებს, რომ მთავრობამ შეიტყო ტიბეტის დესპანების ჩამოსვლა რუსეთში, მაგრამ არ მიუღია დაწვრილებითი ცნობები მისის ხასიათზე. ინგლისის მთავრობას არ მიუმართავს რუსეთის მთავრობისათვის ამ საქმის გამო.

ჯიბსონ ბოულსი კითხულობს: ჰფიქრობს თუ არა მთავრობა, როცა წარუდგენს ბურებს ჩავის უკანასკნელ პირობებს, განიხილოს ჯემსონის შესევის გარემოებანიც და დანიშნოს კომისია ამ შესევის დაწვრილებით გამოსაკვლევად. ბალფური პასუხად ამბობს, რომ მთავრობას არ ჰსურს ამ საქმის ხელ-ახლა წამოყენება.

პრაგა. პარიზის ქალაქის საბჭოს დელეგატები დოსსეს მეთაურობით წავიდნენ პრაგიდან; ხალხმა გულწრფელად გააცილა ისინი.

რედაქტორი ალ. ჭუმნია.

გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

განცხადებანი

ქართველთა საადებ-მიცემო ამხანაგობის

„შუამავლის“

წლიური კრება დანიშნულია ამა ივნისის 26 საღამოს შვიდ საათზედ ტფილისის სათავად აზნაურო ბანკის დარბაზში. კრება შესდგება, რამდენი წევრიც უნდა გამოცხადდეს, რადგან წარსულს მაისის 20 დანიშნული ამნაირივე კრება არ შესდგა, კანონიერი წევრთა რიცხვის დაუსწრებლობისა გამო. განსახილველია შემდეგი საგნები: 1) წლიური ანგარიში, 2) მოხსენება გამგეობისა წესდების ზოგიერთა მუხლების შეცვლაზედ და დამატებაზედ, 3) მოხსენება გამგეობისა იმაზედ, თუ რომელი საგნებით სჯობს ვაჭრობა საზოგადოებისათვის, 4) მოხსენება იმ წევრებზედ, რომელთაც სრულად არ აქვთ საწევრო ფული შემოტანილი და 5) მოხსენება გამგეობისა წილის ფულის გადიდებაზედ, 6) არჩევანი კონტროლის თავმჯდომარისა, ორი წევრისა და მათი კანდიდატებისა, გამგეობის თავმჯდომარის და ერთი წევრისა, რომელთა თანამდებობასაც დროებით სხვანი ასრულებენ და მათი კანდიდატებისა (3—1)

Дозволено цензурою Тифлисъ, 20 Іюня 1901 г.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართ. ამხანაგობისა.